დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობები და გამოწვევები

დიანა კალანდია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიანა ჩუბინიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

“როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენოიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

დიანა კალანდია

07.06.2025

აბსტრაქტი

სამოქალაქო ურთიერთობებში არსებული დარღვევების გამოსწორებისა და სამართლებრივი ბალანსის აღდგენის ფუნქცია მინიჭებული აქვს საერთო სასამართლოებს, რომლებიც მართლმსაჯულებას ახორციელებენ საქართველოს სახელით.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილე პირს აქვს ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მისი უფლებები სრულად იქნება უზრუნველყოფილი და დაცული იქნება კანონიერების პრინციპი, რაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ამავდროულად სადავო მექანიზმს ქართულ საპროცესო სამართალში. პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებასთან, ხშირად ქმნის ბარიერებს მართლმსაჯულების სრულფასოვანი განხორციელებისთვის.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მექანიზმის დანერგვა მიზნად ისახავდა ისეთი პრინციპების რეალიზებას, როგორიცაა პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, მხარეთა საპროცესო პასუხისმგებლობის ამაღლება და სასამართლო სისტემის გადატვირთულობის შემცირება. თუმცა, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აღნიშნული ინსტიტუტი ვერ ახერხებს დაკისრებული ამოცანების სრულფასოვნად შესრულებას.

ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი ის ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტთან და მისი გაუქმების წინაპირობებთან. ასევე, ჩამოყალიბებულია ის ძირითადი მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

Abstract

The function of remedying violations arising in civil relations and restoring legal balance is entrusted to the common courts, which administer justice on behalf of Georgia. In civil proceedings, each party holds a legitimate expectation that their rights will be fully safeguarded throughout the administration of justice, and that the principle of legality will be upheld — a cornerstone of a democratic and rule-of-law-based state.

The institution of default judgment represents one of the significant, yet controversial, mechanisms in Georgian procedural law. In practice, various shortcomings associated with the annulment of such judgments often pose obstacles to the effective realization of justice.

The introduction of the default judgment mechanism aimed to promote principles such as procedural efficiency, enhanced procedural responsibility of the parties, and the alleviation of judicial system overload. However, practical experience reveals that this institution often fails to fully achieve its intended objectives.

This thesis provides an in-depth analysis of the main issues and challenges associated with default judgments and the grounds for their annulment. Furthermore, it outlines key approaches that could contribute to addressing the practical shortcomings currently observed in the system.